



№1გ/1722-16



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

11 ნოემბერი 2016 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე ბრალდებულ დ. ხ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 1.500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით გამოყენების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2016 წლის 07 ნოემბრის განჩინებაზე, ქ.თბილისის პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების სტაჟიორ-პროკურორ ნათია გურულის საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურის წარმოებაშია სისხლის სამართლის N008051116017 საქმე ბრალდებულ დ. ხ.-ს მიმართ (დაბადებულის XXXX წლის XX იანვარს, პირადი №XXXXXXXXXXXX).

საქმის მასალების მიხედვით, დ. ხ. 2016 წლის 5 ნოემბერს 22:30 საათზე დაკავებული იქნა ბრალდებულის სახით, 2016 წლის 07 ნოემბერს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - ოჯახში ძალადობა, ესე იგი ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. მასვე დაედო ბრალად 11¹, 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა- ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას ვისაც



ემუქრებიან გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში (იხ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

აღნიშნულ საქმეზე, 2016 წლის 7 ნოემბერს პროკურორმა ნათია გურულმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულ დ. ხ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2016 წლის 07 ნოემბრის განჩინებით, ბრალდებულ დ. ხ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 1.500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით 25 დღეში გადახდის ვადით, მასვე 199-ე მუხლის შესაბამისად აკრძალა სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილ პირთან (ი. ს.) მიახლოება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, აგრეთვე დაევალა ყოველ 5 დღეში ერთხელ საგამომიებო ორგანოში (გამომძიებელთან, პროკურორთან) ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრულ დროს გამოცხადება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. ბრალდებული გათავისუფლდა დაკავებიდან სასამართლო სხდომის დარბაზიდან. წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2016 წლის 26 დეკემბერს.

გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულ დ. ხ.-ს დაკავება ცნობილი უნდა ყოფილიყო უკანონოდ, რის გამოც ბრალდებულის მიმართ გამოყენებული საპროცესო ღონისძიება-დაკავება უნდა გაუქმებულიყო. კერძოდ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დაზარალებულის მიერ პოლიციის გამოძახებიდან პირის დაკავებამდე გასულია დაახლოებით ნახევარი საათი რა დროსაც დაკავებული პირი დ. ხ. იმყოფებოდა საცხოვრებელ სახლში და დროის მითითებული პერიოდის განმავლობაში იგი არსად მიმალულა, მან იცოდა მეუღლის მიერ საპატრულო პოლიციის გამოძახების შესახებ. ამასთან სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც საქმის მასალებით დასტურდება გამომძიებლებმა მხოლოდ ბრალდებულის მეუღლის განმარტება მოისმინეს შესაძლო დანაშაულის თაობაზე, თვითონ ისინი შესაძლო დანაშაულის ფაქტს თუ ამაზე მიმანიშნებელ ობიექტურ სცენებს იმთავითვე არ შესწრებიან. საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი პირისათვის წასწრება დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე პირდაპირ მიანიშნებს, რომ საქმე ეხება შესაძლო დანაშაულისას წასწრებას მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საგულისხმოა რომ გამოძახების მიღებიდან შემთხვევის ადგილას მისვლამდე გასული იყო დაახლოებით ნახევარი საათი და რეალურად დამკავებელი პირი დანაშაულის არავითარ სცენას არც შესწრებია, არც დანაშაულის შემდგომ დროის მოკლე ინტერვალში არსებული რეალურად და ობიექტურად დამაბული სიტუაცია არსებობდა. შესაბამისად დამკავებელი პირის ჩვენება მთლიანად ირიბია, ეყრდნობა სხვის გადმოცემას და სასამართლოს შეფასებით, ეს შემთხვევა იმთავითვე ვერ იქნება განხილული დაკავების წინაპირობად. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულის დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანის დრო დაკავების ოქმში მითითებული არ არის და განმარტა, რომ თუკი შესახლება ვერ მოხდა ბრალდებულის



ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, რითაც ახსნა პროკურორმა დაკავების ოქმში სამართალდამცველ ორგანოში მიყვანის ზუსტი დროის მიუთითებლობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შესახლების შეუძლებლობის ფაქტი რატომ გახდა ბრალდებულის დროებითი მოთავსების იზოლატორის შენობაში მიყვანის ზუსტი დროის დაკავების ოქმში მიუთითებლობის მიზეზი. დამატებით სასამართლომ მიუთითა, რომ დაკავების ოქმზე არის ბრალდებულის ხელმოწერა, მაგრამ ოქმის გაცნობის დრო მის მიერ არ არის მითითებული, ბრალდებული ფიზიკური ნაკლის მქონეა და თვითონ ბრალდების მხარის მიერ დაენიშნა შემდგომ ადვოკატი, იგი სამართლებრივ საკითხებში საერთოდ ვერ ერკვევა, ამასთან, გათვალისწინებულ იქნა ბრალდებულის ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობა დაკავების შემდეგ, რაც სადავო არაა და ამ პირობებში სასამართლომ აშკარად საეჭვოდ მიიჩნია მითითებული გარემოებებისა და პირობების გათვალისწინებით დაკავების ოქმის მასში მითითებულ დროს ბრალდებულისათვის გაცნობა და მისი ასლის გადაცემა. სასამართლომ აგრეთვე მიუთითა საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის დანაწესზე, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ბრალდებულის დაკავების ფაქტის ოჯახის წევრებისა თუ ახლო ნათესავებისათვის შეტყობინება და განმარტა, რომ აღნიშნული მოთხოვნის დაცვა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ბრალდებულს მიეცეს დაცვის უფლების განხორციელების რეალური შესაძლებლობა და მის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს ჰქონდეთ მისთვის ადვოკატის სწრაფად მოწვევის შესაძლებლობა, ხოლო მოცემულ შემთხვევაში სასამართლოსათვის გაუგებარია, თუ არა ზედაპირულ, გაუაზრებელ და ფორმალურ მიდგომას, რას ემსახურებოდა ბრალდებულის დაკავების მისი მეუღლისათვის შეტყობინება, ვინაიდან ბრალდებულის მეუღლე მოცემულ შემთხვევაში რეალურად მოწინააღმდეგე მხარეა, რაც რეალურად საქმის მიმართ ფორმალურ, გაუაზრებელ და ზედაპირულ მიდგომაზე მიანიშნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს შეფასებით ბრალდებული **დ. ხ.** უნდა გათავისუფლებულიყო დაკავებიდან. რაც შეეხება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტას, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პროკურორი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მტკიცებისას ერთ-ერთ არგუმენტად უთითებს ბრალდებულის წარსულ ნასამართლობაზე, რომელიც თვისებრივად სრულიად განსხვავებული დანაშაულია ამ შემთხვევაში ბრალდებით წარდგენილ დანაშაულთან მიმართებით და იგი ვერ დაასაბუთებს ოჯახური ძალადობის ჩადენის რისკების არსებობას და ვერ მიანიშნებს ბრალდებულზე, როგორც ძალადობის მიმართ მიდრეკილ ის პიროვნებაზე. დამატებით, მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა ბრალდებულის ასაკი, იგი დაბადებულია **XXXX** წელს, აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, თუმცა მიუხედავად ამისა უარს არ ამბობს ფიზიკურ შრომაზე, არის დასაქმებული და მის თვითურ შემოსავალს შეადგენს 500 (ხუთასი) ლარი, მეუღლესთან თანაცხოვრების პერიოდია- 25 წელიწადი, რაც სადავო არაა. ამასთან ბრალდების მხარის მიერ საქმეში რეალურად წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ერთი შემაკავებელი ორდერი, რომელიც დათარიღებულია 2016 წლის 20 ივნისით, ხოლო მეორე შემაკავებელი ორდერი უკავშირდება ამჟამად ბრალდებით წარდგენილ ქმედებებისა და დროის პერიოდს. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ობიექტურად რაიმე დაფარული ძალადობრივი ქმედებებისა და მეუღლის ჩაგვრის ნეიტრალური პირის დაკვირვებით ნათელი, აღქმადი და მყარი ინფორმაცია საქმეში არ



მოიპოვება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულ დ. ხ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება წარმოადგენს ბრალდებულის ნორმალური ქცევის გარანტს და ემსახურება აღკვეთის ღონისძიების კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. (იხ. განჩინება)

განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ქ.თბილისის პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების სტაჟიორ-პროკურორმა ნათია გურულმა. პროკურორი ითხოვს ბრალდებულ დ. ხ.-ს დაკავების კანონიერად ცნობას და მის მიმართ შეფარდებული გირაოს ნაცვლად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას.

საჩივარში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ხ.-ს როგორც დაკავების უკანონოდ ცნობის ისე ა/ღონისძიების გირაოს გამოყენების თაობაზე დაუსაბუთებელია. კონკრეტულ შემთხვევაში პროკურორი განმარტავს, რომ დანაშაულის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან დ. ხ.-ს დაკავებამდე გასული ნახევარ საათიანი პერიოდი მოიცავდა შეტყობინების მიღების, სათანადოდ გაფორმების, შესაბამისი სამსახურისთვის გადაცემის, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების შემთხვევის ადგილზე გამოცხადების, ინფორმაციის მიღება-გადამოწმებისა და დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის დაკავების დროს და გაუგებარია თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ 30 წუთი არაგონივრულ გაჭიანურებად. გარდა ამისა, სასამართლოს მითითება თითქოს ბრალდებულისთვის ცნობილი იყო პატრულის გამოძახების ფაქტი არ გამომდინარეობს მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან, ვინაიდან როგორც დაზარალებულის მოწმედ დაკითხვისას გაირკვა მან ბრალდებულისგან ფარულად დარეკა 112-ზე და ითხოვა საპატრულო პოლიციის დახმარება. შესაბამისად დ. ხ.-ს მიმალვის მცდელობა ვერ ექნებოდა, ვინაიდან იგი არ ვარაუდობდა დაზარალებულის მიერ შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობას, პოლიციის გამოცხადების შემდეგ კი ასეთი ალბათობა რეალურად შეიქმნა. ბრალდების მხარისთვის ასევე გაუგებარია სასამართლოს მიერ დაკავებაზე უფლებამოსილ პირთა წრის განვრცობა იმ ფარგლებს გარეთ რასაც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს და მითითება, რომ დაზარალებულს შეეძლო დანაშაულის თაობაზე შეეტყობინებინა ახლო ნათესავისა თუ მეზობლებისთვის, რომლებსაც ასევე სასამართლოს ვარაუდით შეეძლოთ შეეპყროთ დამნაშავე. ამ მხრივ ბრალდების მხარე განმარტავს, რომ ოჯახურ დანაშაულებს ახასიათებთ სწორედ მოწმეთა სიმწირე და ვინაიდან დანაშაული როგორც წესი ვიწრო წრეში ხდება რთულია ინფორმაციის ალტერნატიული წყაროს მოძიება, მით უმეტეს სამართალდამცველებისთვის, რომელთაც ევალებათ დროული რეაგირების მოხდენა. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ პოლიციის თანამშრომელი ვერ მოასწრებს დანაშაულის სცენის“ ხილვას, ეს შემთხვევა კოდექსის ამავე ნორმით განმარტებულია როგორც პირის დაკავება დანაშაულის ჩადენისთანავე. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ბრალდებულის დაკავების ოქმში მითითებული არ არის ბრალდებულის დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანის ზუსტი დრო, პროკურორი აღნიშნავს, რომ დაკავების ოქმში მითითებული ჩანაწერი, რომ ბრალდებული დ. ხ. მიყვანილ იქნა დროებითი



მოთავსების იზოლატორში გაკეთდა დაკავების ადგილზე, თუმცა ტრანსპორტირებისას ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და იგი გადაყვანილ იქნა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში რის გამოც იზოლატორში მოთავსების დრო ვერ იქნა მითითებული დაკავების ოქმში, შესაბამისად აღნიშნული სასამართლოს არ უნდა მიეჩნია კანონის არსებით დარღვევად. ამასთან სასამართლო დაუსაბუთებელ ექვებს გამოთქვამს ბრალდებულის დაკავების ოქმის ასლის გადაცემასთან დაკავშირებით და წარმოუდგენლად მიაჩნია დაკავებული პირისთვის პოლიციის დაწესებულებაში წარდგენამდე ოქმის ასლის გადაღება და ბრალდებულისთვის გადაცემა, რითაც ირიბად მიანიშნებს პოლიციის მუშაკების მიმართ დანაშაულის შემცველი შესაძლო ქმედების ჩადენის თაობაზე, თუმცა აღნიშნულს ვერ ადასტურებს საქმეში არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, მითუფრო, რომ დაკავების ოქმის გადაცემის ფაქტი დადასტურდა თავად დაკავებულის ხელმოწერით და მან არ უარყო ოქმზე მისი ხელმოწერის არსებობა. რაც შეეხება ბრალდებულ დ. ბ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს ბრალდების მხარე განმარტავს, რომ დ. ბ.-ს ბრალი ედება განზრახი, ძალადობრივ დანაშაულთა ერთობლიობის ჩადენისათვის. დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით ირკვევა, რომ ძალადობას აქვს სისტემატური ხასიათი, ბრალდებული მოიხმარს ალკოჰოლურ სასმელს, ხოლო ვინაიდან ბრალდებულსა და დაზარალებულს საერთო საცხოვრებელი ადგილი აქვთ, დასაბუთებულია ვარაუდი, რომ იგი ჩაიდენს დანაშაულს, რასაც მოწმობს ის ფაქტიც, რომ ორჯერაა გამოცემული შემაკავებელი ორდერი ბრალდებულის მიმართ დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვის უზრუნველსაყოფად, თუმცა აღნიშნულმა ვერ უზრუნველყო დანაშაულებრივი ქმედებების პრევენცია. ამასთან ბრალდებულს ბრალი ედება ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარისათვის, რომლის სისრულეში მოყვანის რეალური საფრთხე ნამდვილად არსებობდა, რაც ზრდის დასახელებულ რისკებს, მითუფრო, რომ დ. ბ. წარსულში ნასამართლევია განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, მაგრამ მიუხედავად კანონით გათვალისწინებული შეღავათების მიღებისა მას კვლავ დაედო ბრალად განზრახი დანაშაულის ჩადენა. გარდა აღნიშნულისა სახეზეა მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელშეშლის საფრთხე დაზარალებულზე ზემოქმედების განხორციელების გზით, ვინაიდან დაზარალებული არის დ. ბ.-ს ყოფილი მეუღლე, თუმცა მათ გააჩნიათ საერთო საცხოვრებელი ადგილი რაც ქმნის მისი გადაბირების რეალურ საფრთხეს. პროკურორი ასევე მიუთითებს ახლად გამოვლენილ გარემოებაზე, რომლის მიხედვით შსს-ის წარმოებაშია სხვა სისხლის სამართლის საქმე დ. ბ.-ს მიერ ოჯახური ძალადობის ფაქტზე იმავე მსხვერპლის- ი. ს.-ს მიმართ რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დ. ბ.-ს მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის რეალურობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ბრალდებულ დ. ბ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ უნდა იქნას პატიმრობა. (იხ.საჩივარი)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საჩივრის არსებითად განხილვამდე, მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს და წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს. საჩივარი დასაშვებია მაშინ, თუ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა ან არსებული მოთხოვნების დარღვევა მისი მიღებისას ანდა საჩივარში მითითებულია



არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხსა და მტკიცებულებაზე, რომელიც არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ და რაც გავლენას იქონიებდა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება.

შევამოწმე საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და მიმაჩნია, რომ პროკურორის საჩივარი დაუშვებელია და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიერ ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-206-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

განჩინების გაცემისას სასამართლომ გამოიკვლია (განიხილა) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალურ, ასევე ფაქტობრივ საფუძველთა არსებობა.

დ. ხ.-ს ბრალდებულად ცნობისას, ასევე სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, საქმის მასალებით არ დასტურდება.

სასამართლომ გამოიკვლია მტკიცებულებათა (ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მასალების) საკმარისობის საკითხი და მიუთითა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ აღნიშნული დანაშაული შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს ბრალდებულ დ. ხ.-ს.

საქმის მასალების გააანალიზების შედეგად, საგამომიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას იმის შესახებ, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები და მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა იძლევა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ბრალდებულ დ. ხ.-ს წარდგენოდა ბრალდება ზემოაღნიშნული ინკრიმინირებული ქმედებისათვის. დასაბუთებული ვარაუდი კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, არის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მოცემულ საქმეზე სრულად შეესაბამება საპროცესო მოთხოვნებს და პირდაპირ გამომდინარეობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველებიდან.



აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნას განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად, პატიმრობა როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნას აცილებული - ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა, ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.

საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ დაპატიმრება გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ საგამონაკლისო ღონისძიების სახით, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იქნას მიმართული დასჯის მიზნებისათვის. სასამართლოს აქვს ვალდებულება აღკვეთის ღონისძიება გამოიყენოს მხოლოდ მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობისას, ხოლო პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა გამოიყენოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას. ამასთან, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახე უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქმედების ხასიათი, ბრალდებულის წარსული თუ (ბრალდების მხარის მიერ მითითებული) სხვა გარემოებები ცალ-ცალკე არ არის გადამწყვეტი ფაქტორი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებისას და არ არის აუცილებლად, აღკვეთის ღონისძიების სახით მხოლოდ პატიმრობის გამოყენების საფუძველი. არამედ აღნიშნული, დანაშაულის სიმძიმის, მოსალოდნელი სასჯელის ზომის, მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით არსებული რისკების ხარისხისა და საქმეში არსებულ სხვა არსებით გარემოებებთან ერთად, ერთობლიობაში უნდა იქნას შეფასებული და მხედველობაში



მიღებული, როგორც მნიშვნელოვანი რისკფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებაზე.

მოცემულ შემთხვევაში, მართალია არსებობს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები ახალი დანაშაულის და პროცესის მონაწილეზე ზემოქმედების სახით, მაგრამ ბრალდების მხარის მიერ მითითებულ საფრთხეებთან დაკავშირებით არ არსებობს იმ ხარისხის და ზომის რისკი, რომ მათი თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად, ბრალდებულის მიმართ აუცილებლად გამოყენებული იქნას უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მკაცრი ფორმა - პატიმრობა. წარმოდგენილი მასალების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ გირაო სასამართლოს მიერ შეფარდებული ოდენობით, დამატებითი ღონისძიების გამოყენებით სრულად უზრუნველყოფს დ. ხ.-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას, ბრალდებულის სათანადო ქცევას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სავსებით შეესაბამება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებს და გირაოს ნაცვლად პატიმრობის შეფარდების სამართლებრივი აუცილებლობა არ არსებობს.

კონკრეტულ შემთხვევაში საგამომიებო კოლეგია მხედველობაში იღებს ბრალდების მხარის მიერ მითითებულ მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით არსებული რისკების ხარისხს, ახალი დანაშაულის ჩადენის, მოწმეებზე ზეწოლის და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის შესახებ, მაგრამ როგორც აღინიშნა რისკები არ არის იმ სტანდარტით დასაბუთებული, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით აუცილებლად გამოყენებული იქნას პატიმრობა, რადგან საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბრალდებულს საქართველოში აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არის დასაქმებული და მის თვითურ შემოსავალს შეადგენს 500 ლარი, არ არის ნასამართლევი, გააჩნია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, აქვს ფიზიკური ნაკლი, რის გამოც საჭიროებს გადაუდებელ მკურნალობას. ამასთან, დღეის მდგომარეობით იგი ითვლება ნასამართლობის არმქონედ და პროკურორის მითითება ბრალდებულის მდგომარეობის დამძიმების მიზნით მოხსნილ/გაქარწყლებულ ნასამართლობაზე დაუშვებელია, ბრალდებულის შესახებ ინფორმაცია და მდგომარეობა უნდა შეფასდეს მხოლოდ ამჟამინდელ რელევანტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ ოჯახურ მლადობასთან დაკავშირებით არსებულ სს საქმეებზე ერთმნიშვნელოვნად უმკაცრესი ღონისძიების გამოყენება არ არის ალტერნატივა ვითარების გამოსწორებისა და მას შესაძლია მძიმე შედეგიც მოჰყვეს თუ არა სხვა მსუბუქი ღონისძიების გათვალისწინება და გამოყენება, მით უფრო რომ ოჯახური კონფლიქტისას ბრალდებულის საპატიმრო ადგილას ყოფნა არ აისახება ამ ოჯახის წევრების კეთილდღეობაზე და დანაშაულის პრევენცია უმრავლეს შემთხვევაში მიზანშეწონილია აღმოფხვრილ იქნას მსუბუქი ზომების გამოყენებით, ამასთან კონფლიქტის რეალური მიზეზი არ არის გაანალიზებული და ისეა მოთხოვნილი უმკაცრესი ა/ღონისძიება. ბრალდება განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ბრალდებულის პიროვნების, მისი ფინანსური მდგომარეობის მხედველობაში



მიღებას გირაოს შეფარდებზე, რა დროსაც მხედველობაში მიიღება სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნები. ახალი დანაშაულის ჩადენის და პროცესის მონაწილეზე ზემოქმედების რისკი უნდა შემცირდეს გირაოს პირობებშიც, რაც გამოყენებული ოდენობის მიხედვით ბრალდებულის მხრიდან ანგარიშგაუწევლობის ფაქტორი არ იქნება, ფინანსური ვალდებულება უზრუნველყოფს ბრალდებულის მხრიდან ხელშეშლის აღკვეთას, რათა იქცეს შემაკავებელ ღონისძიებად მოწმეებზე და დაზარალებულზე ზემოქმედების მოხდენის თავიდან ასაცილებლად, მითუფრო, რომ დ. ხ.-ს საქართველოს სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად აეკრძალა სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილ პირთან (ი. ს.) მიახლოება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, აგრეთვე დაევალა ყოველ 5 დღეში ერთხელ საგამომიებო ორგანოში (გამომძიებელთან, პროკურორთან) ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრულ დროს გამოცხადება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. ყოველივე ზემოთ მითითებული ფაქტორების ერთობლიობაში შეფასების შედეგად საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდებულ დ. ხ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 1.500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება, მოცემულ შემთხვევაში ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, არის ბრალდებულის ნორმალური ქცევის გარანტი და მისი შემდგომი საქციელის სწორად განსაზღვრისათვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით განსაზღვრული მიზნებისა და საფუძვლების ადეკვატური.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკავების უკანონოდ ცნობას და განჩინებაში განვითარებულ მსჯელობას, საგამომიებო კოლეგია განმარტავს სს საქმის მასალების მიხედვით, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი აღიარებს პირის თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლებას, იცავს პირს თვითნებური დაკავებისა და უკანონო დაპატიმრებისაგან. სახელმწიფოს უფლება აქვს, ჩაერიოს ამ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და ფიზიკურ პირს შეუზღუდოს ან აღუკვეთოს თავისუფლება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო გადაწყვეტილებისა და კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

კონკრეტულ შემთხვევაში საგამომიებო კოლეგია, ბრალდებულ დ. ხ.-ს საპროცესო იძულების ღონისძიების-დაკავებიდან გათავისუფლებაზე ნაწილობრივ იზიარებს პირველი ინსტანციის მოსამართლის გადაწყვეტილებას, მას დაკავება არ უნდა ეცნო უკანონოდ, არამედ თუ არა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა სხვა შემთხვევაში დაუშვებელია დაკავების უკანონოდ ცნობა. ასევე როცა არ მიიღება გადაწყვეტილება პატიმრობის თაობაზე დაკავებული პირის მიმართ შესაძლებელია გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით გამოყენება, ან სხვა ა/ღონისძიების ან გირაოს გამოყენება და დაკავებიდან გათავისუფლება სსსკ-ის 176-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“, „ვ“ ქ/პუნქტების და მე-2 ნაწილის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ პირის დაკავება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, რაც ავტომატურად იწვევს პირის მიმართ სს დევნის დაწყებას, ასევე დევნის



დაწყების შემდეგ. ამასთან დაკავება მხოლოდ სსსკ-ის 172-ე მუხლში გათვალისწინებული სუბიექტების უფლებაა და არა ნებისმიერი პირის უფლება, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაშია მითითებული, რაც დაუშვებელია. პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია მხოლოდ იმ ნორმათა განმარტება მოახდინოს, რომელიც მოქმედების საქმის სასამართლოში განხილვის დროს და არა ამ ეტაპზე ამ საქმესთან მიმართებაში 1998 წლის 20 თებერვლის რედ. სსსკ-ის ნორმები, რომლებიც არ მოქმედებს და ძალადაკარგულია, განმარტოს რაიმე ფაქტის ავთენტურობის დასასაბუთებლად. ასევე არ შეიძლება სასამართლომ ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებზე, რაც მასალებში არ ჰპოვებს სათანადო ასახვას სამართლებრივი მსჯელობის ჭრილში ფაქტების შეფასება განახორციელოს. პირველი ინსტანციის მოსამართლეს ევალება კანონის თანახმად ზომიერი შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არ შეეხოს საქმის გარე მოვლენებს და ფაქტებს. ის რაც გამოძების პრეროგატივას წარმოადგენს, სასამართლოს არ აქვს უფლება ამ საკითხში შეიჭრას, ხოლო ის საკითხები რაზეც სასამართლო კონტროლი ხორციელდება მოსამართლე ვალდებული კანონის ზედმიწევნის დაცვით მოქმედებდეს და მხოლოდ და მხოლოდ საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებების ფარგლებში გამოსაყენებელი საპროცესო ნორმის განმარტება მოახდინოს.

საგამომიებო კოლეგია იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას დაკავების ოქმის ზოგიერთი მონაცემის შევსებისას წამოჭრილ საკითხთან მსჯელობაზე, რაც ძირითადად შეიძლება ტექნიკურ საკითხს წარმოადგენდეს და დამატებით დეტალური გამოკვლევა არ ჭირდებოდეს, როცა საქმის მასალებში მოიპოვება ობიექტური ინფორმაცია თუნდაც ბრალდებულის ჯანმრთელობის შესახებ, თუმცა აქვე მიუთითებს სასამართლო, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება ინფორმაცია თუ რატომ გადაწყდა ბრალდებული პირის ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის აუცილებლობა, რაც მსგავსი კატეგორიის და ასევე სხვა არანარკოტიკული დანაშაულის საქმეებზე არ ხდება, გარდა იმ შემთხვევისა თუ საქმეში არის ინფორმაცია პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა. საგამომიებო კოლეგია არ იზიარებს ბრალდების პოზიციას, რომ დამკავებელი პირები შემთხვევის ადგილზე უნდა განიმსჭვალონ მაღალი ემოციური ფონის არესობით, დროული რეაგირება არ ნიშნავს პირის აუცილებელ დაკავებას, აქ მოიაზრება სხვა ზომებიც რაც ანეიტრალებს შესაძლო დამაბულ ვითარებას. ამ შემთხვევაში დაზარალებული ითხოვდა შემაკავებელი ორდერის მიღებას და არა სს დევნის დაწყებას, დაკავების განხორციელებამდე დამკავებელი პირის ვალდებულია არსებული გარემოებიდან მიიღოს მეტი ინფორმაცია, პროკურორი ადასტურებს, რომ დამკავებელმა პოლიციის თანამშრომლებმა შესაძლო დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მიიღეს მხოლოდ დაზარალებულისაგან და დააკავეს ბრალდებული, მაშინ როცა სამართალდამცველი არ უნდა მოქმედებდეს ვინმეს ემოციის ფონზე და დამკავებელი პირი ვალდებულია, შემთხვევის ადგილზე მყოფი სავარაუდო ბრალდებულისაგან რომელიც არ მიმალულა არ უცდია გაქცევა რაიმე წინააღდეგობა არ გამოუვლენია რაც საქმის მასალებითაც დასტურდება, მიეღო ამ პირისაგან განმარტება და ინფორმაცია და შემდეგ მოეხდინა ადეკვატური რეაგირება და არა ის რაც ამჟამად დაკავების ოქმში მითითებულია დაკავების საფუძვლად. რაც შეეხება დაკავების საფუძველს - პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, აღნიშნულზე განმარტა



პირველი ინსტანციის სასამართლომ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი განვრცობით განმარტება დაუშვებელია რაც ერთმნიშვნელოვნად აზიანებს ბრალდებულის უფლებას, პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას გულისხმობს შემთხვევას როცა დამკავებელი უფლებამოსილი პირი კანონის სავარაუდო დამრღვევს წაასწრებს და აკავებს დანაშაულის განხორციელების პროცესში როცა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ან იმწუთიერად დასრულდა დანაშაულის ჩადენა და ბრალდებელი დამკავებელი პირის თვალთახედვის არეშია ანუ დანაშაულებრივი ქმედების ვიზუალური აღქმის პირველი შეხებაც დამკავებელ პირსაც გააჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაკავების განხორციელება არ არის ვალდებულება, არამედ არის შესაძლებლობა/უფლებამოსილება, რამეთუ სსსკ-ის არცერთი მუხლი არ ითვალისწინებს დაკავების ვალდებულებას ისე როგორც აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენების ვალდებულებას, სწორედ დამკავებელი პირის ვალდებულებაა დაკავების განხორციელებამდე ყველა სათანადო ზომა მიიღოს ვითარების გასაწესებლად და უკიდურეს შემთხვევაში მოახდინოს დაკავება. ხოლო პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, ასევე გულისხმობს შემთხვევას როცა სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირი დაასრულებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას და ხდება იმწუთიერადვე დამკავებელი პირის შემთხვევის ადგილზე ყოფნა/მისვლა, რაც დიდი დროის ინტერვალით არ აშორებს დამნაშავე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას და შემთხვევის ადგილიდან მის მიერ დატოვების მცდელობას. მოცემული ფაქტობრივი მდგომარეობა განსხვავდება დაკავების საფუძვლისაგან - პირი შესაძლოა მიიმალოს, და შესაფასებელია დასაკავებელი პირის ქცევის და საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით. შესაბამისად, დაკავებისას არ ყოფილა დაშვებული არსებითი ხასიათის უხეში საპროცესო დარღვევები რაც იწვევს დაკავების უკანონოდ ცნობას, თუმცა არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე დაკავებიდან გათავისუფლება შესაძლებელი იყო სსსკ-ის 176-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“, „ვ“ ქ/პუნქტების და მე-2 ნაწილის განმარტების მიხედვით.

რაც შეეხება პროკურორის საჩივრის ახალ მოტივს ბრალდებულის მიმართ სხვა საგამომიებო ორგანოში არსებულ სს საქმეზე გამოძიებას, ბრალდების მხარეს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კონფლიქტს ადგილი ჰქონდა 2016 წლის 7 ნოემბრის შემდეგ თუ მანამდე, რაც ამ ეტაპზე ვერ გახდება ა/ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

საგამომიებო კოლეგია აქვე აღნიშნავს, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები, აგრეთვე, აღნიშნული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, რა დროსაც საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ ბრალდებულის პიროვნებასთან, ბრალად შერაცხული ქმედების სიმძიმესა და ხასიათთან ერთად, შეაფასა და გაითვალისწინა ბრალდების მხარის მიერ მითითებული საფრთხეებიც და აღნიშნული გარემოებების შეფასებითა და გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გაითვალისწინა ყველა გარემოება, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე და ზეპირი მოსმენით მათი ხელახლა შეფასების აუცილებლობა არ არსებობს.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-6, მე-7 ნაწილებით და

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე, მე-200, 207-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ბრალდებულ დ. ხ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 1.500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით გამოყენების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2016 წლის 07 ნოემბრის განჩინებაზე, ქ.თბილისის პროკურატურის შს სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების სტაჟიორ-პროკურორ ნათია გურულის საჩივარი დაუშვებლად იქნას ცნობილი;

2. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე

გიორგი გოგინაშვილი